პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 100 (18342) ხუთშაბათი, 29 აპრილი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

გუშინ, კონსტიტუციის მოედანზე, დედაქალაქის ყველა თაობის წარმომადგენლებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს თბილისისათვის სამშობლოს უდიდესი ჯილდოს — ლენინის ორდენის მინიჭება. შრომისა და გმირობის ეს გვირგვინი გვაკავშირებს კვლავაც კომუნისტური შემართებით ვიბრძოლოთ ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

დედათბილიზს ორდენოსანს

უძველესო, უახლესო,
უტკბილესო, უთბილესო,
შენ თვით იცი, საქართველო
ვერ იქნება უთბილესოდ.

საამბორო შენმა მკერდმა,
სათაყვანო შენმა მკერდმა,
კვლავ გვაწოვოს შვილებს ძუძუ
და იძგეროს, როგორც ძგერდა.

სიხარულით გლოცავ, გლოცავ,
თვითონ სიხარულს და ლოცვას,
საქართველოს დედას ნეტარს,
დედათბილისს ორდენოსანს!

ფრიდონ ხალვაში.



თბილისი. 1982 წლის 28 აპრილი. ლენინის ორდენით თბილისის დაჯილდოებისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი კონსტიტუციის მოედანზე. ვ. გენგიურის ფოტო.

აყვავდი, მეგობრობისა და ძმობის ქალაქო!

თბილისის ლენინის ორდენით დაჯილდოებისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი

ბევრი ლეგენდაა შექმნილი თბილისზე მისი ისტორიის თხუთმეტი საუკუნის მანძილზე. ამ ლეგენდებშია მისი სიცოცხლე, მას გადაუტანია ჭირ-ვარამიც და აუვავებელა კიდეც. ეს არის მისი სულისკვეთება. იგი არაერთგზის დაგვიდრია მტერს მახვილით და მოკვეთეს — ღვინის თასით. და სწორედ აქ ქართველმა ხალხმა შექმნა მეგობრობის უკვდავი ჰიმნი, რომელშიც ქიდერს ასეთი სტუდენტი: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია".

ლეგენდის შექმნა აზრის შემოქმედებაა. ლეგენდის ხორცშესხმა მოსიყვარულე, ერთგული, გამრჯე მარჯვენის შემოქმედებაა. მან შექმნა არა მარტო ქალაქის განუმეორებელი სილამაზე, არა მარტო მისი შუზეიმების უნიკალური სიმდიდრე, დღესასწაულებისა და სადაგი დღეების თავისებურება, არამედ განსაკუთრებული სულიერი განწყობილება, რომელიც თბილისელებს აერთიანებს და უტყუარად ანათესავებს საბჭოთა მთელ მრავალსახოვან, მაგრამ ერთიან ისტორიასთან.

წითელი დროშა, რომელიც თბილისში ფრიალდა 1921 წელს, წლების ქარ-ცეცხლში გამოატარეს ნაძალადევის პირველი მაისობებისა და ყოფილ ალექსანდრეს ბაღში გადატეხილი 1905 წლის დემონსტრაციის მონაწილეებმა, ავლაბრის არალეგალური სტამბის მბეჭდავებმა და რკინიგზის მთავარი სახელოსნოების პირველი მარქსისტული წრეების წევრებმა... მთელი შემდგომი ექვსი ათწლეულის მანძილზე ეს დროშა ეძარა ქალაქის რევოლუციური ტრადიციების მემკვიდრეთა სამებელ მარჯვენას. მათ ალმართეს იგი ზაპესზე და ზუსტაფონის ფეროშენაფნობთა ქარხანაზე, ჩაის პლანტაციებში, რომლებმაც შეავიწროვეს კოლხეთის ჭაობები, შიბრალის პირველი კოლმეურნეობების ბერის ყანებში.

დაიწყო ფაშისტური გერმანიის მიერ მუხანათურად გაჩაღებული ომი. ფრონტზე წავიდა საქართველოს 700 ათასზე მეტი მცხოვრები და ყოველი მეოთხე თბილისელი იყო. ქალაქმა ფრონტს ჩააბარა თავისი შვილები და ზურგიდან მიიღო ათასობით დაჭრილი, ნათესავებივით შეიფარა ასობით ევაკუირებული ოჯახი. თბილისელთა სიყვარული და გულთბილობა მწყობრში აბრუნებდა მებრძოლებს, ნუგეშს სცემდა მიუსაფართ. ასე გადაეცემოდა გულიდან გულს გამარჯვების რწმენა.

რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია... ომისშემდგომი მშენებლობის წლებში ამ სიტყვებმა ხთრეი შეისხა გრანდიოზული საქმეებით. მეგობრობის ძალა აღადგენდა ნანგრევებად ქცეულ ქვეყანას. ყველა ომიმე რესპუბლიკის წარმომგზავნილებთან მხარდამხარ თბილისელები აღადგენდნენ დნეპრის ჰიდროელექტროსადგურს და ქმნიდნენ ინდუსტრიულ რუსთავს, აშენებდნენ შომლიერი ქალაქის ახალი მიკრორაიონების ეზიერ უბნებს. შემდეგ კი იყო ყამირი, რომლის პირველმკვლევანია შორის ისტორიას ახსოვს ასობით თბილისელის სახელი.

თბილისის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბოლო ათ წელიწადს. ეს ათი წელი განსაზღვრავს მთელი საბჭოთა საქართველოს მაჯისცემას. შემთხვევითი როდია, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებიდან გასული ბრძოლისა და აღმშენებლობის იქ წლები დაგვარგვინდა ისეთივე რესპუბლიკის საქმიანობის ძვრებით. რესპუბლიკის საქმიანობის ყველა სფეროში. და, რა თქმა უნდა, მისი დედაქალაქის ცხოვრებაში.

დღეს თბილისის „სტატისტიკური" სახე 226 სამრეწველო საწარმოა, ასზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება, 250-მდე ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა, 18 პროფესიული თეატრი. ყოველ ათას თბილისელზე მოდის 230 უმაღლესი განთლების მქონე კაცი.

ქალაქის საწარმოო საქმიანობის სტატისტიკა — ეს არის მთელი რესპუბლიკის მრეწველობის მოლიანი პროდუქციის მესამედი. დღეს ამ ციფრებს უნდა დაეფიქროთ კიდევ ერთი. 1982 წლის 28 აპრილს ქალაქში პირველად გამოვიდა 10 მილიონ მანეთზე მეტ ღირებულების პროდუქცია.

ასე უპასუხეს საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა მშობლიური ქალაქის ლენინის ორდენით დაჯილდოებას. სამშობლოს მაღალი ჯილდო თბილისს მიენენა ამ ტრაგიკულ ბრძოლებში, ამ ბრძოლებში, ამ ბრძოლებში, ამ

აყვავდი, მეგობრობისა და ძმობის ქალაქო!

(დასასრული)

ამ საღღესასწაულო დღეს განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენებთ ბერი, რეფოლუციურ მეთერთმეტე არმიის და ჯეროვნად ვფიცავთ ამ ღირსეულ მემკვიდრეებს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქების მებრძოლებს, ოფიცრებს, გენერლებს, რომელნიც ფზიზლად დგანან ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს სამხრეთი საზღვრების საღარაჯოზე.

თბილისი საბჭოთა საქართველოს უფიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრია. ხალხის გენიალ ბერს ისხამს ხანგამძლე მატერიალური და სულიერი ღირებულებები — მუშათა და ინჟინერთა, კომსტრუქტორთა ოქროს ხელთ შექმნილი ელმავლებით, უნიკალური ჩარხებითა და მანქანებით, მეცნიერთა ახალი აღმოჩენებით, ახალი რომანებით, სიმფონიებით, ოპერებით, სპექტაკლებით, ჩვენი საბელოვანი ინტელიგენციის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების მიერ ხელშექმნილი სულიერი შედევრებით.

ქართველი კაცი ოდითგანვე ამბობდა: „ქალაქს მივდივარო“, „ქალაქს ვიყავიო“ და ყველამ იცოდა, რომ სრულიად საქართველოში ქალაქად მხოლოდ თბილისი - იწოდებოდა. წარსულში მრავალჟამრნახულ, დღეს კი ბეჭნიერ, აშენებულ და დამშვენებულ, ქალაქმრავალ და სოფელმრავალ საქართველოში პირველი ქალაქი მაინც ჩვენი თბილისია, საბჭოთა საქართველოს აყვავებული დედაქალაქი — საქართველოს ქალაქების დედა, თქვეს მიტინგის მონაწილეებმა.

დღეს საქართველოს ყველა ქალაქი და სოფელი ზეიმობს ლენინის ორდენით ქალაქ თბილისის დაჯილდოებას, რადგანაც თბილისს დაჯილდოება სიმბოლურად ყველა ქალაქისა და სოფლის დაჯილდოებას ნიშნავს.

თბილისი მარად ახალგაზრდაა. თბილისი მარადიული და მშვენიერი ქალაქია. დიდებულია მთაწმინდა და მტკვარი, ოსთათველის პროსპექტი და ლენინის მოედანი, ძველი თბილისის აღორძინებული უბნები და დედაქალაქისა და რესპუბლიკის მშენებარე ცენტრალური მოედანი, მაგრამ თბილისში ყველაზე, უფრო შესანიშნავი ალბად ადამიანები, მათი შთაგონებული შრომა, ქალაქს სიკეთისა და სილამაზის კანონებით რომ გარდაქმნიან.

აქ ყველაფერი გმირული ისტორიით სუფთაა, აქ ყველაფერი მომავალს ესწრაფვის, რესპუბლიკის დედაქალაქის ფერთო პროსპექტებსა და მოედნებზე მომავალი მოაბიჯეს.

მშვენიერია ხვალინდელი თბილისის კონტურები.

მაღალი ჯილდოს — ლენინის ორდენის პასუხად ქალაქ თბილისის მშრომელები კვლავაც ჯარიკეებული ენერგიით იშრომებენ და იღვაწებენ სკკპ XXVI ყრილობისა და რესპუბლიკის კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა, მიმდინარე და თვალსაწიერი მომავლის პერსპექტიულ გეგმათა განხორციელებისათვის.

მხოლოდ ერთი წელი გვაშორებს იმ ღირსშესანიშნავ დღეებს, როცა საღღესასწაულო პიმნით დამთავრდა საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის შეკრებილ მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. მხოლოდ ერთი წელი გვაშორებს იმ დაუვიწყარ დღეებს, რაც თბილისს, ამ ჩვენი ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე ძვირფასმა სტუმარმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გულთბილი სიტყვებით მოგვმართა და გვისურვა ვიმოქმედოთ უფრო გაბედულად, ვიმუშაოთ უფრო მონდომებით, კვლავაც ავამაღლოთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი.

წინასწარმეტყველური გამოდგა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის კეთილი განაწყენი. არაერთი სახელოვანი მიღწევით, დიდი გამარჯვებით აღინიშნა განვლილი წელი რესპუბლიკის, მისი დედაქალაქის ცხოვრებაში. და უწინარეს ყოვლისა იმით, რომ რესპუბლიკა ზეიმობს 60-ე წლისთავს, თბილისი კი მეექვსედ დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

საზეიმო მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღფოთოვანებით გაუგზავნეს წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით წერილში გამოთქმულია დიდი მადლობა მშობიარეობ კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი სამშობლოს მაღალი ჯილდოსათვის.

მადლიერ თბილისელთა სახელით, მისი პარტიული ორგანიზაციის სახელით, თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო მიტინგის მონაწილეებმა საჯაო ალუთქვეს ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის კომუნისტები და ყველა მშრომელი კიდევ უფრო მაღლა ასწევენ ოქტომბრის წინიელ დროშას, რომელზეც დიდი ლენინის ორდენი კიაფობს, იმუშავებენ გულნდილზე და დღეგანდელზე. უკეთ, უფრო მეტ წელილს შეიტანენ ჩვენი მშვიდობიანი ძლევამოსილ ეკონომიკის ძლევამოსილ ბანმაკეკრებაში.

...ბქეზარე „ვაშა“ გაისმის მიედანზე. ექოდ ედება იგი ქალაქის ყველა კუთხეს, სადაც კოსმეტიკის მოედანზე შეჩვეულა ფიდი ფიზნი ადრე ცხოვარე რაიონში ამ დღეს გაიმართა რაიონული ტიტინგები. საღღესასწაულო მსვლელობანი გაიმართა თბილისის პროსპექტებზე და ქუჩებში, ბაღებსა და პარკებში. სიმღერებით, ცეკვებით, სიხარულით ბლეყსა ქალაქი, თითოეული სახლი, თითოეული ეზო.

მოზეიმე თბილისელთა სახელ ხო სეირნობა გვიან საღამომდე გაგრძელდა.

(საქინფორმი).

პირველადი: განვჭვრიტოთ პერსპექტივა, განვამტკიცოთ ავტორიტეტი, ავამაღლოთ მეგზრძოლურობა

საქართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა პირველი რესპუბლიკური კრება

27 აპრილს თბილისში გაიმართა საქართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა პირველი რესპუბლიკური კრება, რომელმაც განიხილა პირველადი პარტიული ორგანიზაციის — პარტიის საფუძვლის ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილება და პრობლემები. აზრთა გულახდილმა გაზიარებამ, დაინტერესებულმა სჯა-ბაასმა ძირეულ რგოლებში მუშაობის ქმედითობის ამაღლების გზების შესახებ, ნაკლოვანებათა პრინციპულმა კრიტიკამ და მათი აღმოფხვრის კონკრეტულმა წინადადებებმა — ყოველივე ამან კრება მნიშვნელოვან მოვლენად აქცია რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში.

კომუნისტური აღზრდა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები

— **უკანასკნელ** ხანს მნიშვნელოვნად შეიცვალა თვით ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის პირობები, — **თქვა“ თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. ენუქიძემ,** — სხვაგვარი გახდა საბჭოთა ადამიანიც, რომელსაც დღეს ახასიათებს დიდი ცოდნა, მაღალი ერუდიცია, გაზრდილი სულიერი მოთხოვნილებანი. საწარმოო ურთიერთობაზე, თვით ადამიანის ფსიქოლოგიაზე უდიდეს ეფექტს ახდენენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, ინფორმაციის ინტენზიალი ზმარდი ნაკადები. ამასთან, მსოფლიოში მნიშვნელოვნად გამძაფრდა კლასობრივი ბრძოლა, უაღრესად გართულებულია საერთაშორისო ურთიერთობა, და ყველაფერი ეს მოითხოვს მასებზე იდეოლოგიური და ალმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერებას, ყველა საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებას. არსებითად, როგორც აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, ჩვენ ეხება იდეოლოგიური მუშაობის მრავალი უხნისა და საფერო გაღდაქმნას.

სწორედ ამის გათვალისწინებით გვინდა შევჩერდეთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ზოგიერთ ისეთ ასპექტზე, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიმდინარე ეტაპზე.

რამდენადაც იდეოლოგიური მუშაობა ადამიანთა სულიერი და ზნეობრივი სრულყოფისათვის გაწეული რთული შრომაა, რამდენადაც თვით ეს მუშაობა საზოგადოებრივად სასარგებლო ნაირსახეობაა, იმდენად ადამიანის შეგნების, მისი ჩამოყალიბების, მასში ჭვლიმის ყველა თეორიული და პრაქტიკული ასპექტი, როგორც ყოველგვარი მუშაობა, მოითხოვს მეცნიერულ დასაბუთებას, თავის მეთოდებს და ბევრ რამეში — გამდელ ექსპერიმენტს, რასაც საფუძვლად უდევს ალმზრდელობითი მუშაობის პარტიულობის პრინციპი. ჩვენ პარტიამ შეგვიანიარა უმთავრესი მეთოდით და მისგან გამომდინარე ალზრდის საწარმოთა სისტემით. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის კომპეტენტური მიდგომა, როგორც ამსოლუტური მოთხოვნა ალმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში.

დღეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დიდი ორგანიზმია, რომელსაც პარტიული კომიტეტებსა და ძირეული ორგანიზაციების ფართოდ განშტოებული ქსელი აქვს. მხოლოდ მაშინ მუშაობს ყველა პარტიული რგოლი შეთანხმებულად, აქტიურად და მიზანსწრაფულად, მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი კომუნისტთა შეხედულებების, ნებისა და მოქმედების ერთიანობა, როცა პარტიის მთელი შინაგანი ცხოვრება და მრავალმხრივი მუშაობა ლენინურ ნორმებსა და პრინციპებს ეფუძნება. ამაში ჩვენ კიდევ ერთხელ და მთელი სიცხადით დადგენილნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად პარტსწავლების შემდგომი სრულყოფის შესახებ. ბევრი სასიკეთო გარდაქმნა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში საცხოვრებელ ადგილს, მასობრივი იფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების, კულტურისა და ხელოვნების ბევრი დაწესებულების, შემოქმედებითი კავშირების მოღვაწეობაში“.

დღეს 18 ათასზე მეტი პარტიული სპბპოთა და სამეურნეო ნელმძღვანელი, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრები, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები პროპაგანდისტები არიან და რესპუბლიკის მთელი პროპაგანდისტული კადრების ნახევარს შეადგენენ.

ჩვენ ამან საშუალება მოგვცა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი ყურადღება გადაგვეტანა სწორედ პირველად პარტიული ორგანიზაციების ბაზაზე, რომ ჩვენი ყოველდღიური პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობით უფრო ახლოს ეყოფილიყვნენ მშრომლები, კომუნისტებთან, მოსაბსახურეებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ჩვენს საქციერო და შემოქმედებით ინტელიგენციასთან, რომლებიც ამ შეხვედრებზე მათთვის საჭირბოროტო პრობლემებსა და საკითხებზე, გვიჩიერებენ თავიანთ აზრს, გვირჩევენ, წინადადებას გვაძლევენ. თავის მხრივ, საოლქოსა და სემინარების მსმენელები სულ უფრო აქტიურად ემზგიან მწვავე საფერესო, სოციალურ-კულტურული, პოლიტიკურ-აღზრდელობითი პროცესების გაარკვევასა და შესაბამისი პრობლემების გადაწყვეტაში. ამით იქმნება ქვეკვიან ინიციატივის განვითარების, პირველად პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და ავტორიტეტის, მათი იდეურ-აღმზრდელობითი პოტენციალის ზრდის საშუალება, ფართო შესაძლებლობა იმისა, რომ ცხოვრებაში თანამიმდევრულად გაგვაზრავიელთ პარტიულობის, მეცნიერული დასაბუთების, საკარიოლის ლენინური პრინციპები, მშრომელთა ფართო მასების შრომით, იდეურ-პოლიტიკური და ზეგობრივი აღზრდის ერთობლიობის მოთხოვნები.

ამ ყოველდღიურ საქმიანობაშია, აღნიშნა ამხ. ენუქიძემ, — გაერთიანებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი განსხვავებული ასპექტები, როგორიცაა შრომითი აღზრდა, შრომითი საქმიანობის ზნეობრივი კრიტერიუმები, მემკვიდრეობითობის საკითხები, ყოფითი ურთიერთობის პრობლემები და ბევრი სხვა რამ. ყოველივე ამას პარტია განიხილავს კომპლექსურად, როგორც ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ სიდიდეებს. აი, ფუნდაც, შრომის დისციპლინის საკითხი: ამ პრობლემასთან დაკავშირებულია არა მარტო შრომის ნაყოფიერების ამოცანა, არამედ მთელი რიგი ისეთი მორალურ-ეთიკური ცნებები, როგორიცაა პასუხისმგებლობა, პირადი ინიციატივა, დამოუკიდებლობა, წარმოების ბატონ-პატრონის გრძნობა. ამდენად, საუბარი შიდასაწარმოო დისციპლინაზე, დაწესებულების კომუნისტთა წრეზე, სამოლოდ არის დიალოგი, ადამიანებთან აღმზრდელობითს მუშაობაში არსებულ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ, სოციალურ და ზნეობრივ პრობლემებზე.

შრომთა კოლექტივებში, ჩვენს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარე მთელი იდეოლოგიური მუშაობა ორგანულად უნდა ეფუძნოს ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს საერთო მიმართულებასა და ხასიათს, და, უწინარეს ყოვლისა, იმ ამოცანას, რომ მთლიანად დაძლეოთ რესპუბლიკის ჩამორჩენა ზოგიერთი ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლების მიხედვით ამ საკითხებზე. ამ ამოცანის ფარგლებში ეკონომიკური ინტერესებიდან მათ თავიანთი მთხოვნილებანი მათ დაამაყოფილებს რეალურ შესაძლებლობებს, ჩამოიყალიბონ მთა გონიერული მოთხოვნები, ყოველგვარი ნეგატიურისა და ანტიპოდურისადმი შეურიგებლობის გრძნობა.

შრომითს კოლექტივში ყველაზე უკეთ იჩენს თავს ადამიანის პირადი ოვისებები, მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, და ჩვენი ცხოვრების მორალური კანონებიდან ნებისმიერი გადახრის აღმოფხვრაც ყველაზე უკეთ აქ არის შესაძლებელი. აქ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: როგორც წესი, ნეგატიური მოვლენები ყველაზე ეს არ წარმოიქმნებიან — მათ ყველაზე მეტად იქ ეხედებიო, სადაც შეიჭრნეკვა წყარუება და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტება, სადაც განსაკუთრებითაა მოღუნებული პოლიტიკური სიფხიზელ.

შემდეგ მოიხსენებელმა აღნიშნა, რომ ანტისაზოგადოებრივი მოვლენები — პროტექციონიზმის, კარიერიზმის, ბიუროკრატიზმის, მექრთამეობის, მუქთახორობის, სოციალისტური საკუთრების დაცვაების, უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარე ეტაპზე კვლავ რჩება ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის უწინარეს ამოცანად.

ბიუროკრატიზმის, ვიზეობის, ბინაზე ბრძოლა ეს ერთ-ერთ ტაბუ-ბოლოდ ბოლოდ ბოლოდ

პირველადი: განვჭვრიტოთ პერსპექტივა, განვამტკიცოთ ავტორიტეტი, ავამაღლოთ მებრძოლურობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ბატონ ბესიკს რესპუბლიკის მეცნიერებისა, ჩვენი მეშვიდეობით ინტერესებულ ის უმდიდრესი შეძლებლობები, რომლებიც მნიშვნელოვნულად განაპირობებენ რესპუბლიკის თანამედროვე აღმავლობას. დღეს შეუძლებელიცა ჩვენ ბატონ-პოლიტიკური სადმოძღვრების წარმოდგენა თანამედროვე. მეცნიერების მიღწევების ფართოდ გამოყენების გარეშე, ისევე, როგორც შეუძლებელია ნაკაზოვდგენილი ადამიანებთან ერთად.

ჩვენი მეშობა პოეტის მებრძოლი ლექსის, მწერლის პუბლიცისტიკური რომანის, მოკაზდაის მოწუმენტური ქმნილების, თანამედროვე ეროვნული ბრძოლა — პატიოსანი მეშაკის გამამხნევებელი რწმენისა და პიროვნების გარეშე.

ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებენ მეშობის ახალი ფორმები, ახალი ტრადიციებით ივსება პატრიოტული და ინტერნაციონალისტური აღზრდის არსენალი. ავიღოთ თუნდაც სულ ახლახან გამართული ისეთი საინტერესო, შთამბეჭდავი ღონისძიებები, როგორიცაა ქუთაისის დღეები საბჭოთა აფხაზეთში, აფხაზეთისა და საქართველოს ოსეთის უმაღლესი სასწავლებლების დღეები თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, ეს ძალზე სასიხარულო მოვლენებია. მაგრამ ასეთ ერთობლივ ღონისძიებებს ჯერ კიდევ ძალზე იშვიათად ვხვდებით თვით ადგილებზე. ადგილობრივი პატიოსანი კომუნისტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის საქმიანი, მეგობრული კონტაქტების კიდევ უფრო განვითარებისა და განმტკიცების მნიშვნელობას, არაფერს აკეთებენ მრავალეროვანი შრომითი კოლექტივების დაახლოებისთვის. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართო მასშტაბის რესპუბლიკური ღონისძიებებს თავისი ადგილი აქვთ და ადგილებზე — ყველა რაიონის, ყველა ქალაქის მასშტაბის ჩატარებულ ღონისძიებებს თავისი.

ყველა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გაიაზროს ის დებულება, რომ მთელი შრომელთა ინტერნაციონალისტური შეგნების შემდგომი გაღრმავებისა და განმტკიცებისათვის მუშაობა მთელი ჩვენი იდეოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზნობრივ დებულებას წარმოადგენდა და წარმოადგენს.

ამ მიზანს საუკეთესოდ შეეფინდება უკვე დაწყებული მზადება საბჭოთა კავშირის 60 წლისთავისა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულისათვის, ის უდიდესი იდეური მუტი და იდეოლოგიური დატვირთვა, რასაც ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები შეიცავენ.

საბჭოთა საქართველოს კომუნისტებმა, აღნიშნა დასასრულ ამხ. ენუქიძემ, ამ ბოლო წლებში ბევრი რამ შეძლეს, ბევრს მიაღწიეს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებისა და მისი კეთილი სახელის აღდგენაში. ყოველი გამოცდილება კი, უწინარეს ყოვლისა, იმითაც არის აღსანიშნავი, რომ იგი მატერიალური ზემოქმედების ძალას იძენს ახალ სიმაღლეთა დალაშქრის დროს.

ჩვენს წინ კომუნისტური მშენებლობის ახალი მიჯნები, ახალი სიმაღლეებია. და გვაქვს ყველა პირობა, გვაქვს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე განვლილი გზის გამოცდილებაზე დაყრდნობით - წარმატებით განვახორციელოთ ჩვენი პარტიის ლენინური შეგნის ერთ-ერთი მთავარი განწესი საქართველოს კომუნისტებისადმი:

„აკლავაც დაეკცხრომელა ვიზრუნოთ პირველადი პარტიორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის, მათი რიგების შეკავშირებისა და სიწმინდისათვის“...

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკა აგროსამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ჯ. ი.

ერთიან მწყობრში

ჩვენ ხალხს აკვს ერთი ოგავ: ერთხელ თურმე ბრძენ კაცს ეკითხეს, ვინ უფრო ახლოგელია, ძმა თუ მეგობარიო? ძმა, უპასუხია ბრძენ კაცს, თუ კი იგი მეგობარიაო.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხები ძმები და მეგობრები არიან ინიტმამ, რომ მათ ერთი სარეთო, ოდენ ოქტომბრის დროშაზე წარწერილი მიზნები აქვთ. საბჭოთა ხელისუფლებამ შეადუღება სხვადასხვა ერისა და ეროვნების, მრომელები, წარმატებით შეასხა ხორცი მათი ძმური კავშირისა და ერთსულოვან სოციალისტურ ოჯახად გაერთიანების დიად ლენინურ იდეას.

აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის მშრომელები ამაყობენ ამით, რომ სამოცი წლის წინათ ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკა იყო სსრ კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით ჩვენი ქვეყნის ხალხები დარწმუნდნენ, თუ რა შესანიშნავ ნაყოფს იძლევა ლენინის მიერ ნაანდერძევი ეს ძმობა, რა უფართოეს შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს სახავს სამომავლოდ.

ამის მკაფიო და დამაჯერებელი მაგალითია აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ისტორიული განვითარების გამოცდილება. იგი თავის 62-ე წლისთავს აღნიშნავს. ყველა მისწრაფებასა და გეგმაში, საქმესა და მიღწევებში აზერბაიჯანელი ხალხი ეურდნობოდა თავისი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის მძლავრ, სიამეო მხარს, შედგმ ვრძნობდა სსრ კავშირის ყველა ხალხის დახმარებასა და მხარდაჭერას.

სოციალურ-ეკონომიკური ზრდის გაკანონებითა და ტემპით რესპუბლიკის მატიანეში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცხრე და მეათე ხუთწლედებს. ტყუილად როდი ეძახიან ჩვენში ამ ხუთწლედებს წიაღლერძნოშვილს.

ამ პერიოდის განვითარების დინამიკას კარგად მოწმობს. ასეთი მაჩვენებლები და შედარებები. სამრეწველო წარმოება რესპუბლიკაში 2,2-ჯერ გაიზარდა. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა წინა ორ ხუთწლედში თითქმის ერთნახევარჯერ უფრო გადაღდა, ვიდრე ომისშემდგომ მოე პეროდში და 1969 წლის ჩათვლით.

მეცხრე და მეათე ხუთწლედები სოფლის მეურნეობის განვითარებაში ძირეული ძვრის პერიოდი გახდა. ამ წლების მანძილზე მისი მთლიანი პროდუქცია 2,1-ჯერ გაიზარდა. ბამბის წარმოება გადიდდა 2,5-ჯერ, ყურძენი დამზადებულია 3,4-ჯერ, ბოსტნეული — 2,2-ჯერ მეტი, ვიდრე წინა 25 წლის მანძილზე.

აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციისათვის, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის ღირსშესანიშნავი იყო გასული წელიც.

პრდოუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების გეგმა შესრულდა 24 დეკემბერს — ზუთი დღით ადრე, ვიდრე ვალდებულებანი ითვალისწინებდა. დაავალების გადაჭარბებით რეალიზებულია 230 მილიონი მანეთის პროდუქცია. ინდუსტრიის ზრდის ტემპმა 7 პროცენტი შეადგინა, რაც აგრეთვე სოციალისტურ ვალდებულებებზე მეტია. 5,7 პროცენტით გადიდდა შრომის ნაყოფიერება. სახელმწიფო ხარისხის ნიშნით ინოდ-უქციის ხვედრითმა წილმა საატესტაციოდ მომზადებულ სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში 40 პროცენტი შეადგინა.

1981 წელს ბევრი რამ გაკეთდა პარტიის XXVI ყრილობის მიერ წამოყენებული ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების პროგრამის განხორციელებისთვისაც. ექვსი პროცენტით გაიზარდა მოხმარებისა და დაგროვებისათვის გათვალისწინებული ეროვნული შემოსავალი. 2,7 პროცენტით გადიდდა რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. გაიზარდა მუშაობის ნაყოფიერება საშეალოთვიური ხელფასი, კოლმეურნეობა შრომის ანაზღაურება.

მიღწეული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში აზერბაიჯანის მშრომელთა ენერგიერი სიმაყის საკანია. მაგრამ საბჭოთა ადამიანებისათვის როდია დამახასიათებელი თვითდამშვიდების გრძნობა. პარტია გვასწავლის, რომ, როცა ლენინის ანდერძს ვასრულებთ, კრიტიკულად უნდა ვაფასებდეთ მიღწეულს, მთელ ძალ-ონერს ვიხმარდეთ მომზადებული პრობლემების გადაწყვეტის, გაბედულად ვაკვლიდეთ ხაკლოვანებებს, საოთათად, ყაირთიანად ვეკიდებოდეთ ყველაფერს, რაც ხალხს თავისი გარჯით შეუქმნია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმზე, სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობასა და ტაშკენტში გამართულ ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებულ სწორად ამ ზუსტი და მკაფიო პრინციპული მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრავენ დღეს თავიანთ ამოცანებს რესპუბლიკის მშრომელები.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიელ თავის მრავალმხრივ ორგანიზატორულ მუშაობას ახლა აბპარს ძმობ, რომ დარაბაზს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, პარტიული, საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკები მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებული განხორციელებისათვის.

სკკპ XXVI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, თავის გულთბილ, გულითად მისალმებებში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა აზერბაიჯანის მშრომელთა წარმატებებს, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მისი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას. სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ლ. ი. ბრეჟნევის ეს ზრუნვა და ყურადღება ბევრ რამეს გვავალებს, ახალ პასუხსაგებ ამოცანებს გვისახავს, ფართო ასპარეზს ქმნის მასშტაბის შემოქმედებისა და ინიციატივისათვის.

მთელ თავიანთ წარმატებებს აზერბაიჯანის მშრომელები უნდა უმადლოდნენ სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას. ოქტომბერ ხათესობაზე უფრო ახლობელი ძმობა აღუღიებს აზერბაიჯანელ ხალხს საქართველოსა და სომხეთის ხალხებთან. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელებს შორის, ამრავლებს ჩვენს ძალებს, გვეხმარება ახალი შესანიშნავი მიღწევების მოპოვებაში მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

აზერბაიჯანის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სახელოვან იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს ეგებებიან შშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი, და დარწმუნებულნი არიან, რომ ხვალინდელი დღე ახალ შესანიშნავ წარმატებებს მოუტანს კომუნისტურ შშენებლობაში.

(აზერბაიჯანშა-საქინფორმი).

ლ. ს. მამალაძე

ქართულმა საბჭოთა კულტურამ დიდი დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად დაგიიცვალა საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სკკპ 1940 წლიდან ლენინელი სარდიონის ძე **მამალაძე**.

დიდი და შინაარსიანი გზა განვლო ლ. მამალაძემ. იგი დაიბადა 1910 წელს მოსამსახურის ოჯახში, 1936 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი და იქვე დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა.

მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული, ერთნაირი ოსტატებით ემსახურებოდა ინჟინერ-ტექტურას და კინომხატვრობას — ხანგრძლივი დროის მანძილზე ასრულებდა დამდგმელი მხატვრის სამპატიო მოვალეობას, იყო კომბინირებულ გადაღებათა შესანიშნავი ოსტატი და წარუშლელი კვალი დატოვა კინოხელოვნებაში. 1941-46 წლებში ლ. მამალაძე კონსულტუდა „ქართული ფილმის" მთავარ მხატვრად მუშაობდა, შემდეგ 23 წელი იღვაწა კინოსტუდია „მოსფილმის" შემოქმედებით კოლეკტივში.

ლ. მამალაძის აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ფილმები „გიორგი საკაძე", „დიდი გურამიშვილი", „სტალინგრადის ბრძოლა", „მალახოვის ყორანი", „ფიცი", „სპორტული ღირსება", „მოუხელთებელი ივანი", „ხიდი" „ორი ოკეანის სიიდუმლოება", „ოთარაანთ ქვრივი", „ბებრუხარ", „ტარიელ გოლუა", „შეხვედრა მთაში" და სხვ.

კინოხელოვნების განვითარებაში ლ. მამალაძის გახსაკუთრებულ დამსახურებაზე მეტყველებს ისიც, რომ 1950 წელს ავტორთა კოლექტივთან ერთად მას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ფილმისათვის „სტალინგრადის ბრძოლა".

ამასთანავე იგი ნაყოფიერად მუშაობდა არქიტექტურაშიც. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სსრ სპეციალიზმის პროექტმა პირველი პრემია დაიმსახურა. ლ. მამალაძე ხელმძღვანელობდა ადგილვე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომპლექსის ტაბას. ფილმ „ოთარაანთ ქვრივის" ეკრანიზაციების მეგანთა პირველ რეპუბლიკურ კრებზე, 1940 წელს ოთასის „ოთარაანთ ქვრივ"-ის ეკრანიზაციებზე ლ. ს. მამალაძე ხელმძღვანელობდა ფილმ „ბებრუხარ"-ის ეკრანიზაციებზე. ეს ფილმ ... ეროვნული ... ...